თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6676082

ნომერი: AR1986400

თარიღი : 06.09.2023

გაცემის თარიღი : 22.09.2023

გაცნობის თარიღი : 24.09.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი კვერღელიძე პ/ნ 33001004647
- ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 22

ორგანიზაცია:
- შპს "ორბი ჯგუფი თბილისი" კოდი: 405107682

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 აპრილის №6436782 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 06 სექტემბერს №AR1986400 განცხადებით მომართა ირაკლი კვერღელიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 28 აპრილის №6436782 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 აპრილის №6436782 ბრძანებით ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგი გამზირი N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.16.002.018), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2023 წლის 28 აპრილის №6436782 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საოფისე ფართობი 397.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 423.5 კვ.მ., კომერციული ფართობი 19920.6 კვ.მ-ის ნაცვლად 20020.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 14829.9 კვ.მ-ის ნაცვლად 14858.3 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 14552.0 კვ.მ-ის ნაცვლად 14540.0 კვ.მ., სასაწყობე ფართობი 1138.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1139.0 კვ.მ., დამხმარე ფართობი 7974.2 კვ.მ-ის ნაცვლად 7701.6 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 18919.9 კვ.მ-ის ნაცვლად 18920.5 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობი 43444.5 კვ.მ-ის ნაცვლად 43431.0 კვ.მ., საერთო ფართობი 121177.2 კვ.მ-ის ნაცვლად 121130.3 კვ.მ. ასევე მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში აუზის ფართობის (96.3 კვ.მ) დამატება. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 აპრილის №6436782 ბრძანებაში და ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს აუზის ფართობი: 96.3 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდეს: 423.5 კვ.მ., კომერციული ფართობად: 20020.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 14858.3 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 14540.0 კვ.მ., სასაწყობე ფართობად: 1139.0 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 7701.6 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად: 18920.5 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობად: 43431.0 კვ.მ., საერთო ფართობად: 121130.3 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 აპრილის №6436782 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 აპრილის №6436782 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 აპრილის №6436782 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.